



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის
შესრულების მიმოხილვა

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები****ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	448,188.8	226,692.9	223,497.6
გადასახადები	121,066.8	69,970.0	78,667.8
გრანტები	232,519.0	106,572.9	85,532.8
სხვა შემოსავლები	94,603.0	50,150.0	59,297.0
ხარჯები	275,448.0	140,322.3	116,099.5
შრომის ანაზღაურება	55,946.5	26,730.2	25,296.5
საქონელი და მომსახურება	94,133.1	45,868.4	34,614.3
პროცენტი	6,082.5	2,089.3	2,070.8
სუბსიდიები	31,175.4	15,036.3	12,045.3
გრანტები	15.0	15.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	22,033.4	10,949.6	9,428.8
სხვა ხარჯები	66,062.1	39,633.5	32,643.8
საოპერაციო სალდო	172,740.8	86,370.6	107,398.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	224,796.5	88,605.8	68,811.7
ზრდა	237,796.5	92,605.8	75,425.3
კლება	13,000.0	4,000.0	6,613.6
მთლიანი სალდო	-52,055.7	-2,235.2	38,586.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-92,906.3	-16,238.3	24,618.0
ზრდა	0.0	0.0	24,618.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	24,618.0
კლება	92,906.3	16,238.3	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	92,906.3	16,238.3	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-40,850.6	-14,003.0	-13,968.3
ზრდა			0.1
კლება	40,850.6	14,003.0	13,968.4
საშინაო	40,850.6	14,003.0	13,968.4
ბალანსი	0	0	0



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
შემოსულობები	461,188.8	230,692.9	230,111.2
შემოსავლები	448,188.8	226,692.9	223,497.6
არაფინანსური აქტივების კლება	13,000.0	4,000.0	6,613.6
გადასახდელები	554,095.1	246,931.1	205,493.2
ხარჯები	275,448.0	140,322.3	116,099.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	237,796.5	92,605.8	75,425.3
ვალდებულებების კლება	40,850.6	14,003.0	13,968.4
ნაშთის ცვლილება	-92,906.3	-16,238.2	24,618.0

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 230 111,2 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2025 წლის მთლიანი გეგმიური მაჩვენებლის 49,9%, ხოლო კვარტალთან მიმართებაში 99,7%. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 78 667,8 ათასი ლარი (შემოსულობების - 34,2%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 85 532,8 ათასი ლარი (შემოსულობების - 37,2%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 59 297,0 ათასი ლარი (შემოსულობების - 25,8%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 6 613,6 ათასი ლარი (შემოსულობების - 2.9%).




ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	223,497.6	97.1%
1.1	გადასახადები	78,667.8	34.2%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	85,532.8	37.2%
1.3	სხვა შემოსავლები	59,297.0	25.8%
2	არაფინანსური აქტივების კლება	6,613.6	2.9%
ჯამი		230,111.2	100%

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
6 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები




#	შემოსულობების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	448,188.8	226,692.9	223,497.6	-3,195.3	98.6%
1.1	გადასახადები	121,066.8	69,970.0	78,667.8	8,697.8	112.4%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	232,519.0	106,572.9	85,532.8	-21,040.1	80.3%
1.3	სხვა შემოსავლები	94,603.0	50,150.0	59,297.0	9,147.0	118.2%
2	არაფინანსური აქტივების კლება	13,000.0	4,000.0	6,613.6	2,613.6	165.3%
ჯამი		461,188.8	230,692.9	230,111.2	-581.7	99.7%

მიმდინარე წლის ორ კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 49,9%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
6 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები წლიურ გეგმასთან
მიმართებაში





შემოსავლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 226 692,9 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მოხილვებული იქნა 223 497,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98,6%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარ-ივნისის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 78 667,8 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 69 970,0 ათასი ლარის 112,4%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 34,2%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



ქონების გადასახადი – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის იანვარი-ივნისის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, ქონების გადასახადის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა – 45 330,1 ათასი ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 44 123,4 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 890,0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 177,8 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 27,9 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 111,0 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 33 700.0 ათას ლარს, საკასო - 33 337,7 ათას ლარს, შესრულდა 98.9%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 12 653,5 ათასი ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 20 684,2 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარება და გრანტები

2025 წლის 6 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 85 534,2 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 106 370,8 ათას ლარს, გეგმა შესრულდა 80,4%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 85 344,1 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 55 862,9 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 29 386,1 ათასი ლარი (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით ([დანართი №6 და №7](#)) და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 95,1 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 21 თებერვლის №639 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 55 072 (ორმოცდათხუთმეტი ათას სამოცდათორმეტი) ლარი, ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული



ოჯახებისათვის (6 ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55 072 ლარი (100%).

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 24 აპრილის №1340 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 40 000 (ორმოცი ათას ლარი) ლარი, ქ. ბათუმში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (2 ოჯახი) დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40 000 ლარი (100%).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ევროკავშირის Interreg NEXT Black Sea Basin პროგრამის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის ფარგლებში აქტივობების განხორციელებას, პროგრამის სპეციფიკური მიზნის - RSO2.4 მისაღწევად, რაც ეხება კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის პრევენციის ხელშეწყობას მდგრადობას ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით. ბათუმის შემთხვევაში, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ჩატარდება კვლევები ქალაქის ტერიტორიაზე სათბური აირების გაფრქვევების კერების გამოსავლენად და მოხდება მათი ზეგავლენების გაზომვა და დოკუმენტირება, მომზადდება შესაბამისი (დიგიტალური) რუკა და ანგარიში კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია-შერბილების ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებით - 2025 წელს დაგეგმილია 202.1 ათასი ლარი, მიმდინარე მდგომარეობით ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16,0 ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ იქნა - 31 800 ლარი (სხვა ტრანსფერი) „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა“ (V ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), მაინის ფრანკფურტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის თანხის 50%-ის გადახდის მიზნით. ასევე მიღებულ იქნა მიზნობრივი ტრანსფერი - 190 000 ლარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი - 06 02 10) შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სპეციალიზებული და რეგულარული ასისტირების



სერვისის მიწოდების მიზნით (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში), მიმდინარე მდგომარეობით ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 158,3 ლარი;.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 37,2%-ია.

№	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	232,316.9	106,370.8	85,534.2	20,836.6
1.1	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	221.8	190.2	190.1	0.1
	მიაზნობრივი ტრანსფერი	190.0	158.4	158.3	0.1
	სხვა ტრანსფერი	31.8	31.8	31.8	
1.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	232,095.1	106,180.6	85,344.1	20,836.5
	კაპიტალური ტრანსფერი	132,341.0	55,875.0	55,862.9	12.1
	სპეციალური ტრანსფერი	99,659.0	50,210.5	29,386.1	20,824.4
	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	95.1	95.1	95.1	
2	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	202.1	202.1	-1.5	203.6
2.1	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	202.1	202.1	-1.5	203.6
3	უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები			0.01	
3.1	მიმდინარე დანიშნულების გრანტები			0.01	
ჯამი		232,519.0	106,572.9	85,532.7	21,040.2

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2025 წლის 6 თვის საპროგნოზო მოცულობა 50 150,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59 297,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 118,2%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 25,8%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 7 782,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 530,0 ათასი ლარი) 171,8%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 6 695,4 ათასი ლარი, რაც ორი კვარტლის გეგმის - 3 200,0 ათასი ლარის 209,2%-ს შეადგენს.

- **რენტის** სახით მიღებულია 1 086,7 ათასი ლარი, რაც ორი კვარტლის გეგმის (1 330,0 ათასი ლარი) 81,7%-ია. აქედან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 96,5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე - 990,2 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 40 719,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (40 020,0 ათასი ლარი) 101,7%-ია. აქედან,

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით – 40 366,5 ათასი ლარი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 723,5 ათასი ლარი;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** – 0.5 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** – 36 544,9 ათასი ლარი (კვარტალური გეგმის 101,5%), მათ შორის:

სათამაშო აპარატებიდან – 17 227,5 ათასი ლარი;

წამახალისებელი გათამაშებიდან - 194,6 ათასი ლარი;



სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (კლუბის მაგიდიდან და სამორინეს მაგიდიდან) - 19 122,8 ათასი ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 2 410,3 ათასი ლარი, რაც ორი კვარტლის გეგმის (3 000,0 ათასი ლარის) 80.3%-ია;


- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი - 687,3 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 352,8 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 7 127,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 900,0 ათასი ლარის) 145,5%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის სახით მობილიზებულია 3 668,1 ათასი ლარი, რაც ორი კვარტლის გეგმის (700,0 ათასი ლარის) 524,0%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის
6 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები





ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავლები	94,603.0	50,150.0	59,297.0
შემოსავლები საკუთრებიდან	7,053.0	4,530.0	7,782.1
პროცენტები	4,617.0	3,200.0	6,695.4
რენტა	2,436.0	1,330.0	1,086.7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	180.0	80.0	96.5
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2,256.0	1,250.0	990.2
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	76,050.0	40,020.0	40,719.3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	76,050.0	40,020.0	40,366.5
სანებართვო მოსაკრებელი	1,500.0	750.0	723.5
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			0.5
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	68,000.0	36,000.0	36,544.9
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6,000.0	3,000.0	2,410.3
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	550.0	270.0	687.3
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	352.8
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	0.0	352.8
ჯარიმები, სანქციები და საურავები	10,000.0	4,900.0	7,127.5
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1,500.0	700.0	3,668.1

არაფინანსური აქტივების კლება

2025 წლის 6 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 6 613,6 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 4 000,0 ათასი ლარის 165,3%-ია. საიდანაც შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან მიღებულია - 5 583,1 ათასი ლარი, შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 997.0 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების რეალიზებიდან 20.0 ათასი ლარი, ხოლო შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 13.5 ათას ლარი.

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება**


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლება) გეგმიური მაჩვენებელი - 16 238.3 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ფაქტიურმა მაჩვენებელმა (დაგროვება) შეადგინა 24,618.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდის ბოლოს (2025 წლის 01 ივლისის მდგომარეობით) ნაშთმა შეადგინა 117,593.2 ათასი ლარი, წლის დასაწყისისათვის (თავისუფალი ნაშთი) არსებული ნაშთის გათვალისწინებით.

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2025		92,975.3
ნაშთის ცვლილება	-92,906.3	24,618.0
ზრდა	0.0	24,618.0
ვალუტა და დეპოზიტები		24,618.0
კლება	92,906.3	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	92,906.3	
ნაშთი 01.07.2025		117,593.2

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელები**ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ქრილში




ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ქრილში

№	გადასახდელების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	37,290.5	16,050.2	13,070.6	81.4%	6.8%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	14,546.1	6,397.5	5,548.0	86.7%	2.9%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	16,284.2	7,185.7	5,451.8	75.9%	2.8%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	6,082.5	2,089.3	2,070.8	99.1%	1.1%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	377.7	377.7	0.0	0.0%	0.0%
2	თავდაცვა	0.0	0.0	0.0	#DIV/0!	0.00%
3	ეკონომიკური საქმიანობა	154,841.7	78,112.1	75,106.1	96.2%	39.2%



3.2	ტრანსპორტი	153,538.7	77,491.1	74,524.2	96.2%	38.9%
3.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1,303.0	621.0	581.9	93.7%	0.3%
4	გარემოს დაცვა	49,234.5	24,792.7	21,447.4	86.5%	11.2%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	23,430.0	11,700.0	9,837.1	84.1%	5.1%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	25,804.5	13,092.7	11,610.3	88.7%	6.1%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	115,506.1	46,481.3	23,814.0	51.2%	12.4%
5.1	ბინათმშენებლობა	29,407.0	8,868.1	4,908.9	55.4%	2.6%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	30,085.5	13,610.5	10,079.0	74.1%	5.3%
5.3	წყალმომარაგება	37,595.1	15,026.8	3,482.3	23.2%	1.8%
5.4	გარე განათება	7,327.8	3,725.5	2,373.7	63.7%	1.2%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	11,090.7	5,250.4	2,970.1	56.6%	1.6%
6	ჯანმრთელობის დაცვა	9,825.8	4,163.5	3,937.7	94.6%	2.1%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	70,343.1	27,489.6	23,866.5	86.8%	12.5%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	51,305.4	20,161.1	17,345.9	86.0%	9.1%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	18,783.7	7,199.5	6,446.8	89.5%	3.4%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	254.0	129.0	73.8	57.2%	0.0%
9	განათლება	54,591.3	24,114.8	20,828.3	86.4%	10.9%
10	სოციალური დაცვა	21,611.5	11,724.1	9,454.3	80.6%	4.9%
გადასახდელების ჯამი		513,244.5	232,928.3	191,524.9	82.2%	100%

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის კრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 16 050,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 13 070.6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 81,4%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის, საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 6,8%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 78 112,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 75 106,1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96,2%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 39,2%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, მუნიციპალური



სატრანსპორტო სერვისის განვითარების და მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 24 792,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 21 447,4 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 86,5%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 11,2%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების, დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ხარჯები, ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 46 481,3 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 23 814,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 51,2%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12,4%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 4 163,5 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 3 937,7 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 94,6%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2,1%-ს. მასში გაერთიანებულია მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის, მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების, ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობის, შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-



რეაბილიტაციის, ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენციისა და რეაბილიტაციის, ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 27 489,6 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 23 866,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 86,8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12,5%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის, ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"-ს, ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის, კულტურული ღონისძიებების მართვის, ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის, კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის, ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ფოლკლორის ხელშეწყობის, თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობის, ხელოვანთა ხელშეწყობის, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის, შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერის, ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 24 114,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 20 828,3 ათას ლარს, ანუ გეგმის 86,4%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის ხარჯები, ზოგადი



განათლების ხელმისაწვდომობის, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10,9%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 11 724,1 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 9 454,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 80,6%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4,9%-ს. იგი მოიცავს კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების, მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის, მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფის, მუნიციპალური უფასო სასადილოს, მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობისა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების, დროებითი ღამის თავშესაფარის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერის და ერთჯერადი მატერიალური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ქრილში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ქრილში აქვს შემდეგი სახე:

№	გადასახდელების დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	55,946.5	26,730.2	25,296.5	94.6%	12.3%
2	საქონელი და მომსახურება	94,133.1	45,868.4	34,614.3	75.5%	16.8%
3	პროცენტი	6,082.5	2,089.3	2,070.8	99.1%	1.0%
4	სუბსიდიები	31,175.4	15,036.3	12,045.3	80.1%	5.9%
5	გრანტები	15.0	15.0	0.0	-	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	22,033.4	10,949.6	9,428.8	86.1%	4.6%
7	სხვა ხარჯები	66,062.1	39,633.5	32,643.8	82.4%	15.9%
8	არაფინანსური აქტივები	237,796.5	92,605.8	75,425.3	81.4%	36.7%
9	ვალდებულებები	40,850.6	14,003.0	13,968.4	99.8%	6.8%
გადასახდელების ჯამი		554,095.1	246,931.1	205,493.2	83.2%	100.0%

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 25 296,5 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 12,3%-ია.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 34 614,3 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 16,8%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2 070,8 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1,0%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 12 045,3 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 5,9%.


გრანტების სახით გაწეული ხარჯი საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9 428,8 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 4,6%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 32 643,8 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 15,9%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 75 425,3 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების – 36,7%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 13 968,4 ათასი ლარი, ხვედრითი წილი – 6,8%-ია.



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში**

პროგრამულ ჭრილში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 6 თვე		
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	61,901.9	22,877.5	21,587.1	94.4%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	3,696.3	1,769.0	1,542.8	87.2%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	9,955.1	4,627.9	4,005.1	86.5%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	46,933.1	16,092.3	16,039.2	99.7%
01 04	სარეზერვო ფონდი	814.7	0.6	0.0	0.0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	377.7	377.7	0.0	0.0%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	0.0	0.0	0.0	0.0%
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	45.0	10.0	0.0	0.0%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	80.0	0.0	0.0	0.0%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	294,845.3	137,184.2	110,203.3	80.3%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	122,137.9	55,120.9	53,261.0	96.6%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	38,728.6	26,095.7	23,636.9	90.6%



02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	63,399.6	28,119.5	15,092.6	53.7%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი	45,583.4	17,426.0	13,281.7	76.2%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	1,258.0	608.5	575.0	94.5%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	17,164.4	6,796.4	3,085.7	45.4%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	6,573.4	3,017.2	1,270.4	42.1%
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	54,513.4	23,748.0	20,838.3	87.7%
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	23,430.0	11,700.0	9,837.1	84.1%
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	31,083.4	12,048.0	11,001.2	0.0%
04 00	განათლება	54,591.3	24,114.8	20,828.3	86.4%
04 01	სკოლამდელი აღზრდა განათლება	54,376.3	23,984.8	20,698.3	86.3%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	215.0	130.0	130.0	0.0%
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	39,259.7	15,441.6	12,865.3	83.3%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	8,542.6	4,522.3	3,820.6	84.5%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	11,679.4	3,590.8	2,524.1	70.3%



05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	4,502.4	2,780.5	2,414.8	86.8%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	4,968.6	2,508.3	2,122.4	0.0%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	9,312.7	1,910.7	1,909.6	99.9%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	254.0	129.0	73.8	0.0%
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	32,487.2	16,340.3	13,696.2	83.8%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	9,720.9	4,111.1	3,905.6	95.0%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	21,611.5	11,724.1	9,454.3	80.6%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	1,154.8	505.1	336.3	66.6%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	1,267.9	602.6	22.9	3.8%
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	1,222.9	590.1	16.0	2.7%
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	45.0	12.5	6.9	-
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	15,228.4	6,622.3	5,451.8	82.3%
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	14,228.4	6,622.3	5,451.8	82.3%
08 02	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	1,000.0	0.0	0.0	-
გადასახდელების ჯამი		554,095.1	246,931.3	205,493.2	83.2%

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (დანართი №4) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი



მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 3,500,000 ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0,6%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2025 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 2 685 349 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (დანართი №1) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შეიქმნა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 410 000 ლარის ოდენობით, 2025 წლის 6 თვეში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილ იქნა 32 256 ლარი, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (დანართი №2) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობების (დანართი №3) და გადასახდელების (დანართი №4) შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2025 წლის ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №5).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ების 2025 წლის ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №8).

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
	თარიღი	№					
1	2	3	4	5	6	7	8
9	16/04/2025	ბ14.14251064	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით	137,900	137,900
10	28/04/2025	ბ14.14251183	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2025 წლის 14 აპრილის ოქმი №05 (სტიქიური მოვლენების ნაწილი))	538,812	538,812
11	29/04/2025	ბ14. 142511950	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2025 წლის 15 აპრილის ოქმი №8)	87,359	87,359
						64,915	33,068
12	30/04/2025	ბ14.1425120001	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით	33,800	33,800
13	23/05/2025	ბ14.1425143001	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები თ. მ.- ს ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით	7,200	1,800
14	02/06/2025	ბ14.1425153001	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ დასხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით	158,417	158,417
						154,846	25,884
15	09/06/2025	ბ14.14251605	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2025 წლის 29 მაისის ოქმი №11)	130,800	130,800

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
	თარიღი	№					
1	2	3	4	5	6	7	8
16	13/06/2025	ბ14.1425164001	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 08	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (2025 წლის 29 მაისის ოქმი №07)	89,675	85,075
სულ ხარჯი						2,685,349	2,445,789
ნაშთი						814,651	

ინფორმაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების
ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ
(2025 წლის 01 ივლისის მდგომარეობით)

№	ბრძანება		დასახელება	ორგანიზაციული კლასიფიკაციის მუხლი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	ფუნქციონალური კლასიფიკაციის მუხლი	ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი
	თარიღი	№							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფონდის მოცულობა						410,000			
1	24/01/2025	814.14250244	მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	06 02 04	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა- პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ (პროგრამული კოდი - 06 02 04) ფარგლებში, მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი თანხის შეუფერხებლად ანაზღაურება	32,256	32,256	7107	27
სულ ხარჯი						32,256	32,256		
ნაშთი						377,744			

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

ათასი ლარი						
დასახელება	კოდი	წლიური დაზუსტებული გეგმა	ორი კვარტლის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (პერიოდის გეგმას-საკასო)	შესრულება (%)
შემოსულობები		461 188,8	230 692,9	230 111,2	581,6	99,7%
შემოსავლები	1	448 188,8	226 692,9	223 497,6	3 195,3	98,6%
არაფინანსური აქტივების კლება	31	13 000,0	4 000,0	6 613,6	-2 613,6	165,3%
ვალდებულებების ზრდა	33	0,0	0,0	0,1	-0,1	-
შემოსავლები		448 188,8	226 692,9	223 497,6	3 195,3	98,6%
გადასახადები	11	121 066,8	69 970,0	78 667,8	-8 697,8	112,4%
ქონების გადასახადი	11311	48 000,0	36 270,0	45 330,1	-9 060,1	125,0%
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131101	43 000,0	36 270,0	44 123,5	-7 853,5	121,7%
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131102			890,0	-890,0	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131103	2 700,0	0,0	177,8	-177,8	-
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131104			27,9	-27,9	-
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131105	2 300,0	0,0	111,0	-111,0	-
დამატებული ღირებულების გადასახადები	11411	73 066,8	33 700,0	33 337,7	362,3	98,9%
გრანტები	13	232 519,0	106 572,9	85 532,8	21 040,1	80,3%
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	131	202,1	202,1	-1,5	203,6	-
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	1311	202,1	202,1	-1,5	203,6	-
უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები	132			0,0	0,0	-
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	133	232 316,9	106 370,8	85 534,2	20 836,6	80,4%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი		232 095,1	106 180,6	85 344,1	20 836,5	80,4%
კაპიტალური ტრანსფერი		132 341,0	55 875,0	55 862,9	12,1	100,0%
სპეციალური ტრანსფერი		99 659,0	50 210,5	29 386,1	20 824,4	58,5%
რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი		95,1	95,1	95,1	0,0	100,0%
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან		221,8	190,2	190,1	0,1	99,9%
მიზნობრივი ტრანსფერი		190,0	158,4	158,3	0,1	99,9%
სხვა ტრანსფერი		31,8	31,8	31,8	0,0	100,0%
სხვა შემოსავლები	14	94 603,0	50 150,0	59 297,0	-9 147,0	118,2%
შემოსავლები საკუთრებიდან	141	7 053,0	4 530,0	7 782,1	-3 252,1	171,8%
პროცენტები	1411	4 617,0	3 200,0	6 695,4	-3 495,4	209,2%
რენტა	1415	2 436,0	1 330,0	1 086,7	243,3	81,7%
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	180,0	80,0	96,5	-16,5	120,6%
შემოსავალი მიწის ოჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	2 256,0	1 250,0	990,2	259,8	79,2%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	76 050,0	40 020,0	40 719,3	-699,3	101,7%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	76 050,0	40 020,0	40 366,6	-346,6	100,9%
სანებართვო მოსაკრებელი	14223	1 500,0	750,0	723,5	26,5	96,5%
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	14229			0,5	-0,5	-
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	68 000,0	36 000,0	36 544,9	-544,9	101,5%
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	6 000,0	3 000,0	2 410,3	589,7	80,3%
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	550,0	270,0	687,3	-417,3	254,6%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	0,0	0,0	352,8	-352,8	-
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232			352,8	-352,8	-
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	10 000,0	4 900,0	7 127,5	-2 227,5	145,5%
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	144	1 500,0	700,0	3 668,1	-2 968,1	524,0%
არაფინანსური აქტივების კლება	31	13 000,0	4 000,0	6 613,6	-2 613,6	165,3%
არაწარმოებული აქტივები	314	13 000,0	4 000,0	6 613,6	-2 613,6	165,3%
მიწა	3141	13 000,0	4 000,0	6 613,6	-2 613,6	165,3%
ვალდებულებების ზრდა	33	0,0	0,0	0,1	-0,1	-
საგარეო	332			0,1	-0,1	-

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი (დაზუსტებული გეგმა)

ათასი ლარი

პროგრამული კლასიფიკაცი ის კოდები	დასახელება	წლიური დაზუსტებუ ლი გეგმა	პერიოდის (მეორე კვარტალი) დაზუსტებუ ლი გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (4-5)	შესრულება %
1	2	3	4	5	6	7
	სულ ასიგნებები	554 095,1	246 931,2	205 493,3	41 437,9	83%
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3,0	3,0			
	ხარჯები	275 448,0	140 322,4	116 099,6	24 222,8	83%
	შრომის ანაზღაურება	55 946,5	26 730,2	25 296,5	1 433,7	95%
	საქონელი და მომსახურება	94 133,1	45 868,4	34 614,3	11 254,1	75%
	პროცენტი	6 082,5	2 089,3	2 070,8	18,5	99%
	სუბსიდიები	31 175,4	15 036,3	12 045,3	2 991,0	80%
	გრანტები	15,0	15,0		15,0	
	სოციალური უზრუნველყოფა	22 033,4	10 949,6	9 428,8	1 520,8	86%
	სხვა ხარჯები	66 062,1	39 633,5	32 643,8	6 989,7	82%
	არაფინანსური აქტივები	237 796,5	92 605,8	75 425,3	17 180,5	81%
	ვალდებულებები	40 850,6	14 003,0	13 968,4	34,6	100%
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	61 901,9	22 877,5	21 587,1	1 290,4	94%
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,2	0,2			
	ხარჯები	20 877,3	8 774,5	7 541,9	1 232,6	86%
	შრომის ანაზღაურება	8 663,4	4 060,0	3 654,0	406,0	90%
	საქონელი და მომსახურება	4 528,0	1 987,9	1 637,2	350,7	82%
	პროცენტი	6 082,5	2 089,3	2 070,8	18,5	99%
	გრანტები	15,0	15,0		15,0	
	სოციალური უზრუნველყოფა	140,0	115,0	97,8	17,2	85%
	სხვა ხარჯები	1 448,4	507,3	82,1	425,2	16%
	არაფინანსური აქტივები	174,0	100,0	76,9	23,1	77%
	ვალდებულებები	40 850,6	14 003,0	13 968,4	34,6	100%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	3 696,3	1 769,0	1 542,8	226,2	87%
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	0,0			
	ხარჯები	3 661,3	1 739,0	1 523,3	215,7	88%
	შრომის ანაზღაურება	2 188,3	1 060,0	976,1	83,9	92%
	საქონელი და მომსახურება	1 227,0	550,0	457,4	92,6	83%
	სოციალური უზრუნველყოფა	20,0	15,0	12,1	2,9	81%
	სხვა ხარჯები	226,0	114,0	77,7	36,3	68%
	არაფინანსური აქტივები	35,0	30,0	19,5	10,5	65%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	9 955,1	4 627,9	4 005,1	622,8	87%
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,2	0,2			
	ხარჯები	9 816,1	4 557,9	3 947,8	610,1	87%
	შრომის ანაზღაურება	6 475,1	3 000,0	2 677,9	322,1	89%
	საქონელი და მომსახურება	3 176,0	1 427,9	1 179,8	248,1	83%
	გრანტები	15,0	15,0		15,0	
	სოციალური უზრუნველყოფა	120,0	100,0	85,7	14,3	86%
	სხვა ხარჯები	30,0	15,0	4,4	10,6	29%
	არაფინანსური აქტივები	139,0	70,0	57,3	12,7	82%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	46 933,1	16 092,3	16 039,2	53,1	100%
	ხარჯები	6 082,5	2 089,3	2 070,8	18,5	99%
	პროცენტი	6 082,5	2 089,3	2 070,8	18,5	99%
	ვალდებულებები	40 850,6	14 003,0	13 968,4	34,6	100%
01 03 02	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება	44 204,3	14 705,0	14 689,5	15,5	100%
	ხარჯები	5 831,7	1 940,0	1 925,8	14,2	99%
	პროცენტი	5 831,7	1 940,0	1 925,8	14,2	99%
	ვალდებულებები	38 372,6	12 765,0	12 763,6	1,4	100%
01 03 03	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება	2 728,8	1 387,3	1 349,7	37,6	97%
	ხარჯები	250,8	149,3	145,0	4,3	97%
	პროცენტი	250,8	149,3	145,0	4,3	97%
	ვალდებულებები	2 478,0	1 238,0	1 204,7	33,3	97%
01 04	სარეზერვო ფონდი	814,7	0,6		0,6	
	ხარჯები	814,7	0,6		0,6	
	სხვა ხარჯები	814,7	0,6		0,6	

01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	377,7	377,7		377,7	
	ხარჯები	377,7	377,7		377,7	
	სხვა ხარჯები	377,7	377,7		377,7	
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	45,0	10,0		10,0	
	ხარჯები	45,0	10,0		10,0	
	საქონელი და მომსახურება	45,0	10,0		10,0	
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	80,0				#DIV/0!
	ხარჯები	80,0				#DIV/0!
	საქონელი და მომსახურება	80,0				#DIV/0!
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	294 845,3	137 184,2	110 203,3	26 980,9	80%
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0,1	0,1			
	ხარჯები	115 126,8	62 979,0	50 519,4	12 459,7	80%
	შრომის ანაზღაურება	3 372,9	1 600,1	1 494,9	105,2	93%
	საქონელი და მომსახურება	26 632,6	12 922,7	9 242,4	3 680,3	72%
	სუბსიდიები	23 756,9	11 237,4	8 778,7	2 458,7	78%
	სოციალური უზრუნველყოფა	35,0	30,0	13,1	16,9	44%
	სხვა ხარჯები	61 329,4	37 188,9	30 990,3	6 198,6	83%
	არაფინანსური აქტივები	179 718,6	74 205,2	59 683,9	14 521,2	80%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	122 137,9	55 120,9	53 261,0	1 859,9	97%
	ხარჯები	14 172,9	6 826,5	5 077,3	1 749,2	74%
	საქონელი და მომსახურება	14 172,9	6 826,5	5 077,3	1 749,2	74%
	არაფინანსური აქტივები	107 965,0	48 294,4	48 183,7	110,7	100%
02 01 01	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	1 136,5	568,0	383,6	184,4	68%
	ხარჯები	1 136,5	568,0	383,6	184,4	68%
	საქონელი და მომსახურება	1 136,5	568,0	383,6	184,4	68%
02 01 03	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	2 600,0	1 350,0	1 067,0	283,0	79%
	ხარჯები	2 500,0	1 250,0	1 062,6	187,4	85%
	საქონელი და მომსახურება	2 500,0	1 250,0	1 062,6	187,4	85%
	არაფინანსური აქტივები	100,0	100,0	4,4	95,6	4%
02 01 04	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	4 500,0	2 000,0	1 963,9	36,1	98%
	ხარჯები	4 500,0	2 000,0	1 963,9	36,1	98%
	საქონელი და მომსახურება	4 500,0	2 000,0	1 963,9	36,1	98%
02 01 05	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	107 753,0	48 082,4	48 068,9	13,5	100%
	არაფინანსური აქტივები	107 753,0	48 082,4	48 068,9	13,5	100%
02 01 06	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	4 727,8	2 375,5	1 306,7	1 068,8	55%
	ხარჯები	4 615,8	2 263,5	1 196,3	1 067,2	53%
	საქონელი და მომსახურება	4 615,8	2 263,5	1 196,3	1 067,2	53%
	არაფინანსური აქტივები	112,0	112,0	110,4	1,6	99%
02 01 07	საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-მენავის ღონისძიებები	1 420,6	745,0	470,9	274,1	63%
	ხარჯები	1 420,6	745,0	470,9	274,1	63%
	საქონელი და მომსახურება	1 420,6	745,0	470,9	274,1	63%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	38 728,6	26 095,7	23 636,9	2 458,8	91%
	ხარჯები	38 615,2	26 095,7	23 636,9	2 458,8	91%
	სუბსიდიები	23 756,9	11 237,4	8 778,7	2 458,7	78%
	სხვა ხარჯები	14 858,3	14 858,3	14 858,2	0,1	100%
	არაფინანსური აქტივები	113,4				#DIV/0!
02 02 01	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება	38 615,2	26 095,7	23 636,9	2 458,8	91%
	ხარჯები	38 615,2	26 095,7	23 636,9	2 458,8	91%
	სუბსიდიები	23 756,9	11 237,4	8 778,7	2 458,7	78%
	სხვა ხარჯები	14 858,3	14 858,3	14 858,2	0,1	100%
02 02 02	სატრანსპორტო სისტემის განვითარების თანადაფინანსება	113,4				#DIV/0!
	არაფინანსური აქტივები	113,4				#DIV/0!
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	63 399,6	28 119,5	15 092,6	13 026,9	54%
	ხარჯები	26 689,1	11 592,2	6 536,2	5 056,0	56%
	საქონელი და მომსახურება	4 500,0	2 400,0	2 400,0		100%
	სხვა ხარჯები	22 189,1	9 192,2	4 136,2	5 056,0	45%
	არაფინანსური აქტივები	36 710,5	16 527,3	8 556,4	7 970,9	52%
02 03 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	23 891,7	11 562,4	10 852,2	710,2	94%
	ხარჯები	4 500,0	2 400,0	2 400,0		100%
	საქონელი და მომსახურება	4 500,0	2 400,0	2 400,0		100%
	არაფინანსური აქტივები	19 391,7	9 162,4	8 452,2	710,2	92%
02 03 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	20 276,3	7 661,9	3 378,1	4 283,8	44%
